სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

02 სექტემბერი 2025

N 21/8577

შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“ დირექტორს
ბატონ რომან პეტრაშოვს
მის: ქ. თბილისი, ჰეიდარ ალიევის სანაპირო, №11
ელ. ფოსტა: Zurab.shamatava@eu.lukoil.com

ასლი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

ბატონო რომან,

გაცნობებთ, რომ თქვენი 2025 წლის 22 და 27 აგვისტოს განცხადებების (სააგენტოს რეგისტრაციის №8189, 22.08.2025; №8326, 27.08.2025) საფუძველზე, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ შეთანხმებული იქნა **შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“** ავტოგასამართი სადგურისთვის (ქ. თბილისი, მინდელის ხიდის მიმდებარედ, ს/კ 01.13.02.001.112) შემუშავებული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში.

პატივისცემით,

თამარ შარაშიძე



სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/8577-21-2-202509021608

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

22 აგვისტო 2025

N 21/8233

შპს „ლუკოილ ჯორჯიას“

მის: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ჰეიდარ ალიევის სანაპირო, №11

ასლი: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

გიგზავნით, „ქ. თბილისში შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 21 აგვისტოს №446/ს ბრძანებას.

თამარ შარაშიძე

სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/8233-21-2-202508221019

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

21 აგვისტო 2025

N 446/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ მიერ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) წარმოდგენილია ქ. თბილისში შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობა და ექსპლუატაცია დაგეგმილია ქ. თბილისში, მინდელის ხიდის მიმდებარედ, შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.13.02.001.112; ფართობი: 2023 მ^2). საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია დაახლოებით 232 მეტრით. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით, საპროექტო ტერიტორიიდან აღმოსავლეთით, დაახლოებით 110 მეტრში ფიქსირდება ავტოგასამართი სადგური.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ავტოგასამართი სადგურისთვის გათვალისწინებული ნავთობპროდუქტების საცავი (სარეზერვუარო პარკი) წარმოდგენილი იქნება 5 ერთეული, ჯამურად 110 მ^3 მოცულობის მიწისქვეშა რეზერვუარით, რომელთაგან 4 ერთეული (ერთი ერთეული – 30 მ^3, ორი ერთეული – 20 მ^3 და ერთი ერთეული 10 მ^3) განკუთვნილი იქნება ბენზინის საწვავის, ხოლო ერთ ერთეული (30 მ^3) – დიზელის საწვავის შესანახად. სარეზერვუარო პარკი აღიჭურვება სასუნთქი სარქვლებით (პარამეტრები: სიმაღლე – 1.5 მეტრი, დიამეტრი – 0.62 მეტრი), ხოლო რეზერვუარებსა და ჩამსხმელ დისპენსერებზე დამონტაჟდება დაღვრის საწინააღმდეგო ავარიული გათიშვის ღილაკები და ჩამკეტები. სარეალიზაციო საწვავი ავტოგასამართ სადგურზე შევა ავტოცისტერნებით და განთავსდება შესაბამის რეზერვუარებში, საიდანაც ტექნოლოგიური მილსადენით მიეწოდება მარიგებელი სვეტების ფარდულში გათვალისწინებულ ორ ერთეულ საწვავის მარიგებელ სვეტს. მარიგებელი სვეტები აღიჭურვება საწვავის ჩასასხმელი 16 ერთეული ე.წ „პისტოლეტით“, საიდანაც მოხდება საწვავის მომხმარებელზე გაცემა. ავტოგასამართი სადგური იმუშავებს წელიწადში 365 დღე, 24-საათიანი რეჟიმით და წლის განმავლობაში უზრუნველყოფს 1 600 მ^3 ბენზინის და 1 500 მ^3 დიზელის რეალიზაციას.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისათვის საჭირო წყალაღება მოხდება ქალაქის ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. ობიექტზე წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები დაერთდება ქალაქის ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემაზე. საპროექტო ტერიტორია დაიფარება ბეტონის საფარით, ხოლო ავარიულად დაღვრილი საწვავის გარემოში მოხვედრის პრევენციის მიზნით, ობიექტზე განთავსდება აბსორბენტები ან/და ქვიშა,

რომელიც გამოყენებული იქნება საჭიროებისამებრ. ობიექტზე ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული წყლის წარმოქმნის შემთხვევაში, აღნიშნული წყალი, არხების მეშვეობით, შეიკრიბება საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულ 3 ლ/წმ წარმადობის სეპარატორში, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკური წყლისა და შლამის გამოყოფას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებების, კერძოდ, ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადების წარმოქმნას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას, რომელთა მაქსიმალური ინტენსივობები დაფიქსირდება ნავთობპროდუქტების მიღების, შენახვისა და რეალიზაციისას. ვინაიდან, სარეზერვუარო პარკი განთავსებული იქნება მიწის ქვეშ, შემცირდება მასზე გარემო ფაქტორების (მზის გამოსხივება, ტემპერატურა და ა. შ) უარყოფითი ზემოქმედების რისკი, ასევე შეიზღუდება გაფრქვევათა შორ მანძილებზე გავრცელების საფრთხე. შესაბამისად, გაფრქვევები ლოკალიზებული იქნება ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე და იშვიათად გასცდება ობიექტის განთავსების ტერიტორიის საზღვრებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირების პროცესში მოსალოდნელია არასახიფათო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, რომლებიც შეგროვდება სეპარირებულად. არასახიფათო ნარჩენების გატანა უზრუნველყოფილი იქნება ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, ხე-მცენარეული საფარი და ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები წარმოდგენილი არ არის.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა საბურთალოს რაიონულ გამგეობაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

აღსანიშნავია, რომ კოდექსის მიხედვით, სკრინინგის პროცედურას ექვემდებარება ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა, რომელიც ავტოგასამართი სადგურების შემთხვევაში, წარმოადგენს მხოლოდ საწვავის რეალიზაციასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ნაწილს. სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის, მახასიათებლებისა და ნავთობპროდუქტების საცავის ჯამური მოცულობის გათვალისწინებით, აღნიშნული საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და II დანართის მე-3 პუნქტის 3.5 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ.თბილისში შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობა და ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ლუკოილ ჯორჯია“ ვალდებულია კოდექსის მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ლუკოილ ჯორჯიას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და საბურთალოს რაიონული გამგეობის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით. აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/446-21-4-202508211446